

ფილერები ფერეიდნულ ქართულთა მეტყველებაში

ეკა დადიანი

ფილოლოგიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის სახელობის ქართველოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი
ელ-ფოსტა: eka.dadiani@atsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0009-0005-82>

გიორგი მულიანი

ფილოლოგიის დოქტორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: mulianisaid2@gmail.com
ORCID: <https://orcid.org/0009-0004-8652-1006>

აბსტრაქტი. ფერეიდნული დიალექტი, რომელიც ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, კერძოდ, ფერეიდუნშაჰრის პროვინციაში არის გავრცელებული, ენათმეცნიერთა განსაკუთრებული ინტერესის საგანია. ფერეიდნულ ქართულთა მეტყველება საინტერესოა ფილერების გამოყენების მხრივ. მეტყველების პროცესში ხშირად იხმარება სხვადასხვა ენობრივი საშუალებები: ნაცვალსახელები, შორისდებულები, ნაწილაკები, სიტყვები, ფრაზები, ბგერები / მარცვლები, პაუზა...). ფილერების მრავალფეროვნებასა და ინტენსივობას ძირითადად განსაზღვრავს ფერეიდანში არსებული ბილინგვური გარემო და, შესაბამისად, იქ მცხოვრებ ქართულთა დაბალი ენობრივი კომპეტენცია (მშობლიური ენის / დიალექტის ფლობის კუთხით). ზოგადად, ფილერებს მეტწილად ის ადამიანები იყენებენ, რომლებიც სრულყოფილად ვერ ფლობენ მშობლიურ ენას / დიალექტს და საუბრისას წარმოქმნილი პაუზის შევსებას სხვადასხვა საშუალებით ცდილობს. გარდა ენობრივი კომპეტენციისა, გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორებიც (განათლების დონე, ფსიქოლინგვისტური...).

ფერეიდნულ დიალექტში აქტიურად გამოიყენება ქართული სიტყვა-ფილერები. ამასთან, უცხოენოვან გარემოში ხანგრძლივი არსებობის შედეგად გაჩნდა უცხოენოვანი (უმთავრესად სპარსული, იშვიათად არაბული წარმომავლობის) სიტყვაფორმები, რაც, ბუნებრივია, შესაბამისი ქართული მასალის შეზღუდვის ხარჯზე ხდება.

წარმოდგენილ კვლევაში დიალექტურ მასალასა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, გააანალიზებულია ფერეიდნულ ქართულთა მეტყველებაში დადასტურებული პაუზის შევსების საშუალებები / ფილერები, მათი ფორმოებრივი, სემანტიკური და ფუნქციონალური მახასიათებლები. ფერეიდნულის ფაქტები შედარებულია ქართული ენის სხვა დიალექტების მონაცემებთან.

საანალიზოდ აღებულია სტატიის ავტორთა მიერ სხვადასხვა პერიოდში ფერეიდნის ქართულ დასახლებებში ჩაწერილი დიალექტური ტექსტები. აგრეთვე, სხვადასხვა დროს ქართველ მკვლევართა მიერ ჩაწერილი ფერეიდნული მეტყველების ნიმუშები, რომლებიც გამოქვეყნებულია და განთავსებულია ქართულ დიალექტურ კორპუსში (corpora.co).

განხილული მასალა ნათლად ასახავს ფერეიდანში ქართულ-სპარსული ენობრივი ინტერფერენციის შედეგად ამჟამად არსებულ ენობრივ ვითარებას და წარმოაჩენს ფერეიდნულ ქართულთა მეტყველებაში მიმდინარე ცვლილებებების ზოგად ტენდენციებს.

საკვანძო სიტყვები: ქართული დიალექტები; ფერეიდნული დიალექტი; ფილერები.

შესავალი. ფილერები (ინგლ. filler), იგივე პაუზის შემავსებლები, მეტყველების პროცესში წარმოიქმნება. ის, როგორც წესი, ზეპირ მეტყველებას ახასიათებს. ფილერის ფუნქცია-დანიშნულებით

გამოიყენება სხვადასხვა ენობრივი საშუალებები: ბგერები / მარცვლები; ჩვენებითი ნაცვალსახელები; შორისდებულები; ნაწილაკები; სიტყვები; ფრაზეოლოგიური ერთეულები; ჟარგონი; პაუზა (თურქია, 2006: 118).

ამავე ფუნქციით გვხვდება აგრეთვე: ზმნისართები; სიტყვების / ფრაზების გამეორება, რითაც მოსაუბრე ცდილობს მეტყველების ნაკადის უწყვეტობა შეინარჩუნოს და ნათქვამს ბუნებრიობა, დამაჯერებლობა შესძინოს. ეს ერთგვარი საშუალებაა მეტყველების ხარვეზის შესანიშნავად.

ფილერების გამოყენების თვალსაზრისით დიალექტები მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ფერეიდნული დიალექტი, სადაც ფილერების მრავალფეროვნებასა და ინტენსივობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს იქ არსებული ბილინგვური გარემო და, შესაბამისად, ფერეიდნულ ქართველთა დაბალი ენობრივი კომპეტენცია (მშობლიური ენის / დიალექტის ფლობის კუთხით). ზოგადად, ფილერებს მეტწილად ის ადამიანები იყენებენ, რომლებიც სრულყოფილად ვერ ფლობენ მშობლიურ ენას / დიალექტს და საუბრისას წარმოქმნილი პაუზის შევსებას სხვადასხვა საშუალებით ცდილობს. ენობრივ კომპეტენციასთან ერთად გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორებიც (განათლების დონე, ფსიქოლინგვისტური...).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ფილერების შესახებ კვლევები მწირია. ფერეიდნული დიალექტისთვის დამახასიათებელ ფილერებზე ზოგადი მსჯელობა წარმოდგენილია ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ ნაშრომებში. დ. ჩხუბიანიშვილი **ემე**-ს მოუგონებლობის ნაწილაკს უწოდებს (ჩხუბიანიშვილი, 2012: 105). შდრ. **ემენი** – სიტყვის მოუგონებლობის ზრახვა (ორბელიანი, 1991). მ. ბერიძისა და ლ. ბაკურაძის მონოგრაფიაში „ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი“ (2020) ზოგადად განხილულია ფერეიდნულში გამოყენებული სხვადასხვა სახის ფილერები (ბერიძე, ბაკურაძე, 2020: 669).

ე. დადიანის სტატიაში (დადიანი, 2023) გამოქვეყნებული და ახალი დიალექტური მასალის მიხედვით გაშუქებულია **ემე** ნაცვალსახელი-ფილერის გამოვლენის შემთხვევები ფერეიდნულში ქართული ენის სხვა დიალექტებთან (ინგილოური, იმერხეული, ტაოური...) მიმართებით.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია, დიალექტურ მასალასა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, გავაანალიზოთ ფერეიდნულ ქართველთა მეტყველებაში გამოყენებული პაუზის შევსების საშუალებები, მათი ფორმოებრივი, სემანტიკური და ფუნქციონალური მახასიათებლები; ვაჩვენოთ ქართული და უცხოურის წარმომავლობის ფილერების გამოყენების კონტექსტი და ინტენსივობა.

საანალიზოდ აღებულია სტატიის ავტორთა მიერ სხვადასხვა პერიოდში ფერეიდნის ქართულ დასახლებებში ჩაწერილი დიალექტური მასალა. აგრეთვე, სხვადასხვა დროს ქართულ მკვლევართა მიერ ჩაწერილი ფერეიდნული მეტყველების ნიმუშები, რომლებიც გამოქვეყნებულია და განთავსებულია ქართულ დიალექტურ კორპუსში (corpora.co).

მეთოდები. საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევისას გამოვიყენეთ სხვადასხვა მეთოდი; საველე მუშაობის მეთოდის საშუალებით ფერეიდნის ქართულ დასახლებებში სხვადასხვა დროს უშუალოდ ჩავიწერეთ აუდიო და ვიდეომასალა, მოვამზადეთ აუდიო-ვიდეომასალის შესაბამისი ბეჭდური ტექსტი. დავამუშავეთ დიალექტური მასალა; შევარჩიეთ და დავაჯგუფეთ საანალიზო თემასთან დაკავშირებული სიტყვაფორმები. აღწერილი მეთოდის მეშვეობით აღვწესეთ ფილერების გამოყენების შემთხვევები, პოზიციები; სისტემატიზებული მასალა შევუდარეთ ქართული ენის სხვა დიალექტების მონაცემებს; შეპირისპირებითი მეთოდი დაგვეხმარა სპარსულ ენასთან მსგავსება-განსხვავების დადგენაში; ანალიზის მეთოდით ვაჩვენეთ ფერეიდნულ დიალექტში ფილერების გამოყენების მხრივ არსებული ვითარება.

მსჯელობა. ფერეიდნულ ქართველთა მეტყველებაში გამოყენებული ფილერები მრავალფეროვანია. წარმომავლობის მიხედვით ისინი ორ ჯგუფად დავყავით: **1. ქართული, 2. უცხოური (ნა-სესხები).**

1. ფერეიდნულში ფილერის ფუნქციით სმირად გვხვდება **ქართული სიტყვები და შესიტყვებები**. მათი დიდი ნაწილი ჩვეულებრივ გამოიყენება ქართულ მეტყველებაში, ნაწილი კი დიალექტის/დიალექტთა ჯგუფისათვის არის ნიშანდობლივი.

ა) ზოგადად ქართული მეტყველებისათვის დამახასიათებელი სიტყვა-ფრაზები:

რა ჰქიან / რა-მქიან „რა ჰქვია“

თქო, რო შენ ესეო ჩადტაო და ანგრედა ამოდი, **რა ჰქიან**, ამ ქომოთ ყელთანო – დიდი ქუასთან (ჩუღრუთი, 2016); მე მინდა გამოკითხო, აი, გაიარა რაგდენ ხან ემესთანა, **რა-მქიან**, ან ემე შაქნილა-და თაის ემელა არი საქართველოსი? (ქდკ; ახჩა, 1998); ემერყ თამის ემესა **რა ჰქიან**, ფარჩასა ჩადღებენ და მიჰყუდებენ – ბალიში (ქდკ; თორელი, 1998).

რა არის თაის სახელი?

ჩაძყრით თაის და დაუდუფთ ბა ემეით, **რა არის თაის სახელი?** – ჯააფარი (ქდკ; თორელი, 1998).

მე რო გითხრა / მე რო ქენ გითხრაყე / რა ვიბნა

მე აბოლძაზლე რაძიი მელიანი, სამოზდასამ წელიისი ვარ, **მე რო შენ გითხრა**, რო ცხრა ემე, ხუთი ყმაწილიცა მყავ და ცხრა ნავა (თორელი, 2023); **მე რო შენ გითხრა**, ჩონ საქმე თოვლის ხეტადყო, თოვლსა ძხეტევდით და ექითაცა პირიტყსა ვზაძტევდით... ქანდაჩი ჩადტანით, ღოყართყე, გომოხეტითყე, **მე რო შენ გითხრა**, თუ, მასალან, ბევრ ბატკანი ყვანდისყე, ბატკნები გავასუქითყე, რო ნავრუზზე, მასალან, წადყვანოთ, გაძყიდოთ (ჩუღრუთი, 2019); **მე რო ქენ გითხრა-ყ და გიამბოყე**, ჩემი ბატონეფსა, **რა ვიბნა**, რო ბაიტა შორსა ვართ ქენტანა, შორსა ვართ, გასლა-გამოსლა არა გოქ... (თოდუა, 1975: 44).

რა ვიცი / არ ვიცი

მე ათი წლისა ქი ვიყავ, მე მარტო ემეფს უვლიდიყე, ემ სახლსა, თოვლის გახეტვა იყო, ემის, წყალისა, **მე რა ვიცი**, ყოლის მოტანა იყო, ბზეს მოტანა იყო, სხო საქმე იყო... ფული, ღარი, ღოლარი, **მე რა ვიცი**, თუმანი... (ახჩა, 2023); ახანძალიდა რო მაყვანეს, დასხდიანყე ექა, ახანძალი, რო წადდიანყე, მაყვანონ შაბო-შაბო და **არ ვიცი**, ოჰოდ შაბო და ეგეა ზადები იყო... (ჩუღრუთი, 2016); სველად ქალაჯუში, შაჭამანდი, **რა ვიცი**, ფაში, ემეფსა ჰა გავაკეთებთ, შაძჭამთ (ქდკ; ფერეიდანი, 1998).

ფილერის დანიშნულებით იხმარება **ზმნისართები, ნაწილაკები**.

ეხლა / ახლა

ყურბანი დაკლისყელა და შამადტანისყელა და **ეხლა კი** ახანძალი მაყვანის, ნეფეც დამალულ იყვისყე ამ ზემოთ გომზე და გადმაჰტრეტდის (ჩუღრუთი, 2019); **ახლა კი** ამ ქორწილჩი დაჰკლვენ ერთი ჰარსა, ხუთი, ათინ ცხორსა, აღბათა ბრინჯსა, რო ეს გჰკეთებენ, **ახლა კი** ანსები რო დაქუჩიდებიან, მოვლენ შუმპრობაზე... (თოდუა, 1975: 51); **ჰა**. შამადყვანეს და **ეხლა კი** ღამე-ღა რო გადღეს, ამებმა... **ხო**, იმაში-ღა შემევეყარენით ერთ ოთაღჩიგა და ვიბენით ბადტახან მე და ჩემ ახანძალმა. (მარტო?) მარტო. მარტო შემევეყარეთ და **ეხლა კი**, დავსხედით და ვიბენით და ვიციენეთ და გუხაროდა-ღა, რო შამოყრილი ვიყნევით... (იქვე: 85).

იმაში / იმაშინ

ფუშრუკი, გითხრა, რო ერ ნაყრი ქბილი, ერთი ზარძჩი დალბიანყე, აღბათა ჰელი ნაამა დადბანიანყე, დადბანიანყე, **იმაშინ, ეხლა კი**, მოდდიანყე და იგრე არ დალბიანყე, რო ეს წყალი მაღღედესა, ერ თალაქად ნამი მიჰციანყე და **იმაშინ**, მოდდიანყე ჰელითა ეგრე აფხნიანყე, ეგეათი ექსიდე-ექსიდე შაქნისყე...ავალან, რო შადდიან, ხო, დიახ გარმადა დასხდიანყე და ერთი ნაყრი **იმაშინ**, ერ ნაყრი ხილი მაღტანიანყე (მარტყოფი, 2015).

ხო ნაწილაკი

სამკალი **ხო** ფაიზზე მოძჰნითყე ყანა, ფაიზზე ყანა მოძჰნითყე და ზაფხულე გამოდღისყე, გადღითყე ბიაბანზე, ფარაგანზე... გაზაფხული რო შაქნისყე და **ხო** წადღითყე სარწყავზედა... ქორ-

წილიცა **ხო** ბიჭსა და ყროსა ერთმანერთი უნდოდაყე... ოთხი დღე რო გაადისყე, დასხდიანყე და იბნიანყე, **ხო**, აბა რას გომოგორთომთ და რას იქთ და ემათაცა თქიანყე, **ხო**, ბალე შირბაჰას გამო-გართომთეყო (ჩუღრუთი, 2016); შაჭამადსაცა, მასალან, ჩონ, ქე ცოტა-ყოს, **ხო** ბელახარა, და ცოტა-ყოს და ბევრი, ჭარყი არ აქ (ახჩა, 2019).

მეტყველების პროცესში საჭირო სიტყვის მოფიქრების პროცესში ხშირად მიმართავენ **სიტყვის ან ფრაზის გამეორებას**:

ხო, **ესეხი სუ ითამაშიანყე**, **ესეხი სუ ითამაშიანყე** და ქორწილ ღამემდი ეს ბარნამა ქონდაყე (მარტყოფი, 2016); მოატანთ **იმიშინ**, ქე დავდგამთ, **იმიშინ**, ქე მაძხარშების ერბოს ჩოგლებთ, მოძხარშავთ, ბაყზიებ მაჰხარშვენ, ბაყზიები, **ელა, ელა, უმად, უმად** გადრეცხვენ და დაარჩევენ და დადურღვენ (ახჩა, 2020).

არცთუ იშვიათად პაუზის დროს საჭირო **სიტყვის დასაწყის მარცვლებს** წარმოთქვამენ:

დიდებმა წაიდიანყე, **და...** დაჯდიანყე (ვაშლოვანი, 2023); ერბოც **ხო**, კარაქიც **ხო შა...** ემეძქ-ნითყე, გავაწყალითყე, ჩავასხითყე ემეჩი, სალთეფჩიგა; ჰა, **გუგუ...** ეგრე გუგუხარდებისყე (ჩუღრუთი, 2023); ღმერთმა ყმაწილი მამცა, **ღავა...** მე დავაქორწილეყე; ეს თითებია ცხრა არი, **და...** დაარქმიანდა ცხრათითი (ახჩა, 2023).

ბ) დიალექტური ფორმები

ფერეიდნულში პაუზის შემავსებლის ფუნქციით ხშირად გვევლინება ნაცვალსახელი **ემე**, რომელიც როგორც ფორმით, ისე ფუნქცია-დანიშნულებით განსხვავდება III პირის **ეს** ნაცვალსახელი-საგან.

ემე ნაცვალსახელის ბრუნების პარადიგმა: მხ. რიცხვი: **ემე, ემემ, ემეს, ემეს(ი), ემეათ/ემეთ(ი), ემედ, ემე**; მრ. რიცხვი: **ემეები/ემეები, ემეებმა/ემეებმა, ემეებს/ემეებს, ემეების/ემეების, ემეებით/ემებით, ემეებად/ემეებად** (დადიანი, 2023: 136).

მღრ. **ეს** ნაცვალსახელის ბრუნვის ფორმები: მხ. რიცხვი: **ეს/ესა/ესე, ემან/ემამ/ემენ, ემას, ემის, ემით(ა), ემად**; მრ. რიცხვი: **ესენი, ემათ; ესეხი, ესეხმა, ესეხს(ა), ესეხით...** (ბერიძე, ბაკურაძე, 2020: 425-441).

ემე და **ეს** ნაცვალსახელების ფორმაწარმოება თვალსაჩინოდ განსხვავდება მხოლობითში, ასევე მრავლობითში იმ შემთხვევაში, როცა **ეს** ნაცვალსახელი ერთი ფუძითაა წარმოდგენილი: **ეს-ებ-ი, ეს-ებ-მა...** ხოლო როდესაც **ეს** ნაცვალსახელი მრავლობითის სუპლეტურად, ორი ფუძით აწარმოებს, მაშინ ემთხვევა **ემე** ნაცვალსახელის მრავლობითის ფორმებს; სახელობითში ჩვეულებრივ **ეს(ე)** ფუძე გვაქვს (**ესეხი/ესეხი**), სხვა ბრუნვებში კი **ემ** ენაცვლება: **ემ-ებ-მა** (/ემეებმა), **ემ-ებ-ს** (/ემეებს)...

„**ეს(ე)** ნაცვალსახელის -ებიანი მრავლობითის ფორმები სუპლეტური წარმოებისას, გარდა სახელობითისა, გარეგნულად ემთხვევა **ემე** ნაცვალსახელის შესაბამის ფორმებს. ფორმით იდენტური ნაცვალსახელების გარჩევა, მათი განსხვავებული ფუნქციურ-სემანტიკური ასპექტების გათვალისწინებით, კონტექსტით არის შესაძლებელი“ (დადიანი 2023: 137).

ემე ნაცვალსახელიკონსტრუქციაში უკავშირდება როგორც სახელებს, ასევე ზმნებს.

ა) ემე გვხვდება სხვადასხვა პოზიციაში. ძირითადად **ემე-ს** მოსდევს ზმნა, შემდეგ კი – ფილერის შესაბამისი სიტყვა.

• **მხოლობით რიცხვში ემე** ნაცვალსახელი დაირთავს შესაბამისი ბრუნვის ნიშანს. საილუსტრაციო ნიმუშები:

სახელობითი: ბევრი **ემე** ჰქონდა, გზა-კოლი ბევრი ქონდა (თორელი, 2023); ერთჯელ აჰმანან **ემე** არა ჰქონდეს ექა, აშხალი, ბრე, ბზე, ეგეა ზადები არა ჰქონდესყე, ხალესიდა **ემე** იყვისყე, ხორბალი (ჩუღრუთი, 2016); ეხლა ესენი რო ქორწილი ქონდაყე, ეს ბიჭიანი, **ემე**, ყორიანი, წადდიანყე ელა მევორე ღამესა სიმამრობაჩი (მარტყოფი, 2015); ნასერალჩიგაც ეს ცერას დათესვა ყოფილა, რო ემ

როლანის **ემე** ყოფილა, თესლი (თოდუა 1975: 47); გოგოგლიტყე ეს **ემე** ფეჰი ემ აკუნჩი და ვაქანებ-
დიტყე; ორი ჩემ **ემე** ანქ არი ძმა; **ემე** არი, სუფერი არი, ჰა, სუფერი არი და თაფლს ჰყიდის (ქდკ;
თორელი, 1998).

მოთხრობითი: ერთჯელ წისქილის **ემემა** გაწყდისყე, მა წყალი მაძპარისყე იმ ქურამ (ჩუღრუთი,
2016); **ემემ** მოდდა ასლან ხანმამ თავი თითანა ჰყვანდა (ქდკ; დამქესანა, 1998).

მიცემითი: ხაბარი, **ემეს**, ამბავს მიჰცემენ ამ ჩონ ბიძასა, მაჰმადალასა (თორელი, 2023); იმაში-
ნაც იმ **ემესა** ყორსაცა ორ-სამ დასტი, ორ დასტი ნამაღ ლაბასი წოოდიან (ქდკ; თორელი, 1998); ღურ-
ბინდსა რას დაუძახით, **ემესა**, რო ჩაძხედვენ, რო დაახლოვოს? (ქდკ; ამირაბადი, 2009).

ემე ნაცვალსახელი ჩვეულებრივ დაირთავს თანდებულებს: ჯუბე გორჯი რო არი ამ **ემეჩი**, ხუნგ-
სა, ანსი ერთ სარდარი (მარტყოფი, 2015); ღორიც ბევრი მოძკალ, ვალი ღორი **ხო** ჩონ **ემეჩიგა** და-
ვაგლითყე და მოდლითყე (ჩუღრუთი, 2019); ესეები დააწყვიანყე ემ **ემეზე**, მაჯმაზე (მარტყოფი, 2015);
მო წადღეთა და წადყვანს თავინთ **ემეზეგა**, ჩადრჩიგა (თორელი, 2023); არ არის, რო უღელის შუა
ჩადღებენ ელა, ემ ცხვარის **ემესავით** სამ ემე, სამკუთხე ერი (ქდკ; თორელი, 2012); თქო: არ იქნების.
რაც ემამ ბეგრე ხაჰეშტო, თუმანა ძქნა **ემესყენ** დარვიშსყე (ქდკ; დამქესანა, 1998).

ნათესაობითი: ანს ხო სილაქჩი ჩადვიანყე, **ემეს** ტყავ იყო, თხას ტყავი, ცხორის ტყავი საბუ-
ჯარსათი, ჩადვიან ემეჩი (ჩუღრუთი, 2016); მინახავ, ამ **ემესი** წიგნჩი ვიკითხე, რო ქეთო, ქეთო ამ **ემეს**
ყორი, რო ლექსებმა წაიყვანეს კახეთსაყენ და წადყვანეს ემეჩიგა (თოდუა, 1975: 47); სიმამრი **ემესი**,
რევაზის სიმამრი, დიდ მუცელი აქ (ქდკ; ისპაჰანი, 2009); ჩონ უნდ ამაღამ ექ გზა მოვნახოთ, გაიდეთო
და **ემეს** ჰელჩი კი არ მოდღეთ – ტერისაო (ქდკ; გურჯაანი, 1976).

მოქმედებითი: ელიმ **ემეთა**, შალაფით დაჯრიტიან (<http://corpora.co/#/corpus>); იმაშინ ხიშტით
ერთ **ემემათა**, ქუადთ აბტანით-ყე (თოდუა 1975: 29); დაუდღეთ ახალი მთვარე უნდა **ემეთ** ეძებო,
საძებვარით, ღურბინით (ქდკ; მარტყოფი, 2012); **ემეით** რა არის თაის სახელი? (ქდკ; ფერეიდანი,
1998);

თანდებულიანი ფორმა: ღუყრითყე ემე, კინას **ემეიდან**, და შუა და შუაც უქცივითყე (მარტყოფი,
2023).

ვითარებითი: ეს ტრედი ეს დღე და ღამე აქო ამ გოოყლეფიყეო, ბრინჯებზე ძეო და **ემედ**
იქერდაო, შაჰედად იქერდაო (ქდკ; ვაშლოვანი, 1998).

წოდებითი მიმართვის ფორმას წარმოადგენს. ჩვეულებრივ, უნიშნოდ იხმარება. იშვიათად -**ვ**
სუფიქსით დასტურდება: კაჭკაჭმა ჩიტს უთხრა: ჰოო, **ემე**, ერთ ბარტყი ჩამამიგდეო; შირმა მელას
დოკივლა, **ემევ**, აბა მოდი ექა (ჩუღრუთი, 2016).

• **მრავლობითი ემე** ნაცვალსახელი ძირითადად -**ებ** სუფიქსს დაირთავს. საილუსტრაციო
ნიმუშები:

სახელობითი: ის **ემეები** რო უკრვენ, ლუთთი, რო უკრვენა, ძარსულად იტყიან ლუთთი, ეხლაც
ნამადა (ქდკ; თორელი, 1998); **ემეები** გერდები ემეეტანაყე (ქდკ; ნაჯაფაბადი, 2012); **ემეები** გოქ, სო-
მოხტალუნები, იქ ჩავასხამთ (ქდკ; გურჯაანი, 1976); დათან დამძახიანყე დიდ **ემეები** აყე, დათსავითა
დიდები არიან (ქდკ. ისპაჰანი, 2009); შიდ, რუა ბატატა სოფელი არი, რო ექა **ემეებია**, სომხებია (ქდკ;
ფერეიდანი, 1976); ქართველებისა ქომოთა, ქომოთ, რო ის აღილები, ის **ემეები** ყოფილა, ოზოები
ყოფილა, (ქდკ; ფერეიდანი, 1976).

მოთხრობითი: ძმამ და მამამ და **ემეებმა** წადღიანყე, ორ-სამმა წადღიანყე დახატულადა (მარტ-
ყოფი, 2015); ქარიმ-ხანი რო მოდდა, მეფე შაქენა, **ემეებმა**, ესეები, რო მალიათს ართემდეს, მოდდეს
და ქერიმ-ხანს უთხრეს (თოდუა, 1975: 56); ერთხელ რო **ემეებმა**, თურქებმა, დააღონიანყე, ჩონ
წადღითყე და მევეშელითყე სომხეფსა; იმაში რო **ემეებმა** მოდდეს, ამ აძყანებმა რო შამოდდეს სო-
ფელჩი, ექ იყო, რო ქართველებმა, – რო ჩონ პაპებმა იბნეს (ქდკ; ფერეიდანი, 1976).

მიცემითი: თოხმანლები ქე ავა, ჩადრსა და ემებსა ჰკრავს (თორელი, 2023); ჰამაცა ხო ემებს უყურებენდა და თელევეზუნსა და ვიდიოსა და რადიოსა და ეგეთ რამებს. კითხვა დამიწყებიაყე (ქდკ; თორელი, 1998); ემ სამი ყორსყენ ძაყათ ანს ბადტა ყორი ღურზავდა და ათორიალავდა **ემეფს**, ემ საჰლას (ქდკ; დაშქესანა, 1998); ელ **ემებჩილა** არი, რაძტომადი იმ წინ იფრო იყვისყე (ქდკ; თორელი, 1998); ერთ თახთესანგი ზედ **ემებზე** იყო ჰაძხომადე ხოსროვზეგო (ქდკ; სიბაქი, 1998); არ ჩაიდალა, რო ნახოს, რო აბა, ამ **ემებთან** ცხვრებთან, თავის პირიტყი, ჰარები არიან თუ არა (ქდკ; ისპაჰანი, 2009).

ნათესაობითი: ეს აყრის, კარგად აყრის, კარგად აყრის და თავის **ემეების** მოსხილვებია, ნუხუ-დოს ტოლებია (ბერიძე, ბაკურაძე, 2020: 416); სახლის ემე დაწერილები, საწერები და მამულებისა, **ემეებისა** რო შამამიყრია, თა ათთი მამამდინ დაწერილი გოქ, რო მინ მის ბიჭია... (ქდკ; ნაჯაფაბადი, 2012).

მოქმედებითი: მოდლიან, ალბათა სტირ-ნადარაით და **ემებითა** გეგებიაწყე ახანძალსა (ჩუღრუთი, 2016); მერე დედაკაცები მოდლიან **ემებით**, დიგებით საჭმელს მიაქვენ წენია, ალბათ, წენია (ქდკ; დაშქესანა, 1998); იმაშინ სუნვენილა ბარით, **ემებითა**, გოოზიდვენყე, მიწასლა დააყრიან (ქდკ; ფერეიდანი, 1976).

ვითარებითი: ანქ იგრე იბნა, რო მე **ემებად**, ტყუანებად გამამიყვანა (ჩუღრუთი, 2023).

წოდებითი: ადგა და ჩადა ანქა და უთხრაყე, ქე **ემებო**, რათ გემელვენეთ ამ ბერკაცებს, ქართ-ველებსაო? (მარტყოფი, 2023).

- **ემე** ნაცვალსახელი შედარებით იშვიათად **ნართანიანი** მრავლობითის ფორმითაც გვხვდება:

სახელობითი: ეს **ემენი**, ელეს იუსელიანი ჩუღრუთელნი რო არიან, ეს ყასიანი, ესენი დარ ასლ დაუუთანთეყენ არიან; ჩონ ჯანგჯუ ხალდი ვართ და **ემენი** და ვალი ეს ემტებარი და ძალან და ბანას იქმენ ამ ემესა (იაზდონმაჰრი, 2016); ერთ **ემები** გვაქს და ფარყი არა გოქ. ფარყი ხო არა გოქ? [არა, არა] [აქბარ ასლანი] – ერთს **ემენი** ვართ და ეჯადი ერთი გოქ (ქდკ; ჩუღრუთი, 2008); ეხლა სუ კი ერთ **ემენია**, ერთ რჯული. ჩამოიდენ ენქა, ესენიცა მდიდარ ხალდებია (ქდკ; ისპაჰანი, 2009).

მოთხრობითი: **ემენო**, ხუციანთ იშუღლეს (იაზდონმაჰრი, 2016).

მიცემითი: ხურმა და ჰალვა და **ემენსას** დაარიგებენ მაჩიჩი (ქდკ; ფერეიდანი, 1998). (მოცემულ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო: **ემეთ**).

ნათესაობითი: **ემენო**, მოზობელიანთ ჰარებიც გამოაჰირითყე და კალოზე შავაბითყე (ჩუღრუთი, 2016).

წოდებითი: მემელემ ადღისყე გომზე და დიდად დაჰკივლიდყე: **ემენო**, ხალდნო, ამანდებულად ერთ ცხორი დაკარგულა, მის უნახავ? (ჩუღრუთი, 2016).

ემე ნაცვალსახელი მრავლობითის ნაცვლად შესაძლოა მხოლობითის ფორმით შეგვხვდეს, შესაბამისი სახელი კი მრავლობითში იდგეს:

ჩონლა წაიდითყე ჰევჩიგა, ეს **ემე**, წინდები გავრეცხითყე (ჩუღრუთი, 2023). იმაშინაც იგრე იყო, **ემე** წაიდიანყე, მასალან, ყანდი და ჩაი და არ ვიცი, ხილი და ეგეთ რამეები (ქდკ; თორელი, 2008).

არცთუ იშვიათად წინადადებაში ფილერი და ზმნა სახეზეა, ფილერის შესაბამისი სიტყვა კი არ არის წარმოდგენილი; ის კონტექსტით იგულისხმება. მაგალითად:

ეხლა იმან რაც უნდა ხელ-ფეხი იქნიოს, მათას **ემე** მაგარიდა და ქუა ვერ გაჰტეხავს (ახჩა, 2023); პირიტყი იყვისყე თავლებჩი და ხო დოუყარე **ემე** და წაიდიანყე და დასხდიანყე ერთმანეთთანა (ქდკ. ამირაბადი, 2009); მე მინდა გადდე, მოვთიბო, ჩონ **ემები** გამჰმარა (ქდკ; ფერეიდანი, 1976).

არის შემთხვევები, როცა **ემე** ნაცვალსახელი-ფილერი არა კონკრეტულ სიტყვას, არამედ მთელ ფრაზას შეესატყვისება:

ემე, შიდი დღეს წინასწინ დაქუჩდიანყე და ითამაშიანყე (მარტყოფი, 2015); თქო, რო **ემე**, წაველთ ანქაო, ჩონ მოზობელიანთასაო და **ემე**, ამამ თოლჩი მაჰყვანაო. მართლაო? (ჩუღრუთი, 2023).

ზოგჯერ **ემა** ნაცვალსახელი არც კონკრეტულ სიტყვას გულისხმობს, არც აზრის გამოხატვას ემსახურება, არამედ სიტყვის მასალად არის გამოყენებული და მოსაუბრის ერთგვარ სამეტყველო ჩვევაზე მიუთითებს:

ეს **ემა** რო მოდდა და **ემა**, ის რო მე გამიგია და **ემა**, ეს ალიმერდანხანის **ემა**, რო ბე ესტელაჰ ესენი სამ **ემენი** იყნეს, სეფაჰსალარი იყნეს და **ემა**, ერთი ხო ელამ აღამაჰმად ხანის მამა ყოფილა (მარტყოფი, 2015).

ემა ნაცვალსახელი ფილერის დანიშნულებით ცნობილია ქართული ენის დიალექტებში: ტაოურში, იმერხეულში (დადიანი, 2013; 2015), ინგილოურში (აბაშვილი, 2009: 177), მესხურში, ზემო-აჭარულში, თუშურში (დლონტი, 1984).

მრავლობითში **-ებიანი** წარმოება (ემები, ემებმა...) დასტურდება იმერხეულში, ინგილოურში, ხოლო ტაოურსა და მესხურში **ნართანიანი** მრავლობითის წარმოება (ემენი, ემეთ) გვაქვს (დადიანი, 2013; 2015; (დლონტი, 1984).

მდრ. ქართულ ზეპირ მეტყველებასა და დიალექტებში ფილერის ფუნქციით მხოლოდობითში ძირითადად **ის(ა) / იგი** ნაცვალსახელი გამოიყენება, მრავლობითში კი – **ისინი/იგენი** (იმათ/იგენ-მა/იმგენმა, იმათ/იგენს/იმგენს...) (დადიანი, 2020: 54-60).

ბ) ფერეიდნულში ემა ნაცვალსახელი ხშირად ზმნასთან კომბინაციაში იხმარება. **ემა** ნაცვალსახელი უკავშირდება **ქნა** ზმნას, რომელიც სხვადასხვა პირის, რიცხვისა და მწკრივის ფორმით არის წარმოდგენილი.

- **I სერიის** ფორმებთან **ემა** ნაცვალსახელი მიცემითის ფორმით (**-ს** ნიშნით) იხმარება:

ნუ **ემესიქ**, ერთხელ არ გიკბინოსო (ჩუღრუთი, 2023); დოქტორთან იფო ელა ცოტად **ემეს ვიქთყე** ელეჟარი (ქდკ; დაშქესანა, 1998); ერთ ბატკანს შენთი დაძკლავ. იმაში **ემეს იქს**, ჩამუა ქოვით (ქდკ; დაშქესანა, 1998); ერთ-ორი მილიმეტრი რო თავს ამადჰყოფს, **ემეს იქმენ** იმას, იმ ხორბალით გააკეთებენ, აწიკა (ქდკ; ამირაბადი, 2009); რო დაბრუნდებიან შუღლსაყე და მოვლენ და **ემესიქმენ**, ამას მაათხოვს და ამ ჯუბე გორჯის ამას მისცემს (მარტყოფი, 2015); რო თამაშობდიანყე და **ემესიქმოღეს**, ისიც ქამარბანდ იყო (მარტყოფი, 2015);

- **II სერიის** ფორმებთან **ემა** სახელობითის ფორმით (უნიშნოდ) იხმარება:

ემექენო, მაიტაო (ჩუღრუთი, 2023); რაქთენ ღლე-ღამე წყაროზე დადგა და იტირა, **ემა ქნა** და აიყარაღა (ქდკ; გურჯაანი, 1972); მეღამ მიიდა და ერთ ნამაღ ღუმე ემ თალაჰზე **ემა ქნა** – დააკრა (ქდკ. თორელი, 1998); ნამა არ ვიცოდით, რო **ემეძქნათ**, გავაგებინითყე ერ ჯურაღა (მარტყოფი, 2023); იტყიანყე, რო წაიდეთო ემესა, ქურდებიჰ იყვნესო, წაიდეთო ღენოო **ემა ვქნათ**, გამოართოთო, ვიშოვნოთაო (ქდკ. ამირაბადი, 2009); თოფების ალაგი ღეგდოყე, რო [გაღ] ტყვია გადსროლონ და ექით **ემა ქნან** (ქდკ. თორელი, 1998); ...და **ემექნიანყე**, გააკეთიანყე, ერთ, ორი (ჩუღრუთი, 2023); მინდორჩი **ემექნიანყე**, მასალან, პირიტყ აძოვიანყე, იონჯა მოთიბიანყე, ყანა მოთიბიანყე და მინდორჩი იყვიანყე (ჩუღრუთი, 2023); აბა, ცოტა დაბლაღო, რო **ემა ქნისყე**, კარი გააღისყე, წყალი მაასხის და დაგავისყე (ქდკ; ამირაბადი, 2009).

- **III სერიაშიც ემა** ნაცვალსახელი სახელობითის ფორმითაა წარმოდგენილი:

აბა მოდი აქაო, რა არი ეს **ემეგიქნიო** (ჩუღრუთი, 2023).

განხილული შემთხვევებიდან აშკარაა, რომ ფერეიდნულში **ემა** ნაცვალსახელი-ფილერის გამოყენების არე საკმაოდ ფართოა. მსგავსი ნიმუშები გვხვდება ტაოურში, იმერხეულში, მესხურში, ინგილოურში... (ფუტკარაძე, 1989: 170; აბაშვილი 2009: 124; დადიანი 2013: 16-21).

2. ფერეიდნელ ქართველთა მეტყველებაში ფილერის ფუნქცია-დანიშნულებით ქართული სიტყვა-ფრაზების პარალელურად იხმარება უცხოური (უმთავრესად სპარსული, შედარებით იშვიათად არაბული წარმომავლობის) ლექსიკა. საილუსტრაციო ნიმუშები:

- **მანი** არაბულის გზით არის შემოსული სპარსულში და ნიშნავს: 1. ანუ, ესე იგი (ელერდაშვილი, 2012: 765).

ერთ დედაკაცი იყვის, ებნებოდეს მაყყარი, ეს მაყყარი, **მანი**, ორნი იყვიან, სამნი, ამა ერთი ანს ორი ვარდასტი იყნეს (ახია, 2020); იტყიან, ვალი, ცოტა, **მანი**, სუ ერთმანეთს ეღრინებიან, **მიხდი?** (ახია, 2023); წინანდელ ქორწილები, ყორმა და ნეფემ ერთმანეთის ნახვა არ იყო, **მანი**, არა ნახიანყე (ჩუღრუთი, 2019); არ მივცითყე სირე ხოშკი, არ იყო, **მანი**, ამაშინა (ქდკ; თორელი, 2008); **მანი**, ეს ჩონა ურუჯი რო ღუგუჭერია, ნამა ურუჯი იყოს და ღმერთმა იყაბულოს. ურუჯი, **მანი** პურს არ შავჭამთ – რუზე (ქდკ; ფერეიდან, 1976).

- **მასალან / მასან** სპარსულში არაბულის გზით არის დამკვიდრებული და ნიშნავს: „მაგალითად“ (თოდუა, 2016: 210).

რაქთენები, **მასალან**, ორმოზდაათი, მა სამოცი, **მასალან**, ექთენები, წავლენ ანქა დაჯდებიან და ღოწყობენ, **მასალან**, გაფსა (ახია, 2020); ამებს ქე ესედი წოლიაყე ერთ მოხთასარ რამე, **მასალან**, ჩოდებენყე, ბარადე ინქე თამაქორ იყოს, **მასალან** (ახია, 2020); ეს ერთი არა, **მასან**, ემან უნდოდის ახანდალის ლაბასი ჩააცოს, წადლიანყე ანქ ისტირ-ნალარადთა (ახია, 2020); იყვის თა, **მასალან**, ფაიზობამდინა, ფაიზობაც ქე შაქნისყე, ნაძთი ხო არ იყო, იმაშინ ქე, **მასან**, ეგრე არ იყო, გაზი ხო არ იყვის, ემ ბიაბანზეგად თელ ემ ბიაბანზეგა ემდენ, იცი, **მასალან**, შემა რა-რი თუ არა? (ახია, 2020); თუ, **მასალან**, გინდა, **მასალან**, ბევრი ვიბნა და, **მასალან**, ქაღაზზე, წიგნზე მოდესა, იმაშინ, იმაშინ, **მასალან**, თუ ერთგან იყოს, ბევრნი იყოს, ჭამენ (ახია, 2023); რაქთენ ღდეს უკან წადლიან და ეს ემ ყორიანთას ეს ბალგა წადლიანყედა. და დააწყვიანყე რო, **მასალან**, რაქთენ ღდეს უკან მოდენდა და ესლა გაძკეთონდა. გაძკეთიანყე, **მასალან**, ხუთი ცხორი და ხუთი არზ ქონამ რო ყანდი და შირბაჰა და ესებიდა (ჩუღრუთი, 2019).

- **ხობ** სპარსული სიტყვაა, რომელსაც რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: აუდიტორიის აზრის დადასტურება, ცნობისმოყვარეობის გამოვლენა ან ლოღინი სიტყვის გასაგრძელებლად, საუბრისას დასტურის მისაღებად ან ყურადღების მისაპყრობად, მოსაუბრის გასაჩუმებლად ან მოქმედების შესაჩერებლად. ზოგ სპარსულ დიალექტში „კარგის“ მნიშვნელობითაც იხმარება (Dehxoda, 1998, 6: 9487-8).

ელეგრეც შაქნა, **ხობ**, დაძქორწილდით. თხოვნა, **ხობ**, მასალან, წაველ ანქა ელა ერთ ღამესა (ახია, 2020); უნდა მეჭრი გამართო, **ხობ**, ერთ, აველზე ბევრს იტყიან, ბაცდ იტყიან (ახია, 2020); ეხლა კი ჩემ მამასა, რო მარიზ იყო ისი, **ხობ**, მუდოდა-მოდოდა, უხაროდა, ძრიალ უხაროდა და ჩემ ქორწილი... (თოდუა, 1975: 81); ასკილის წყაროს დაუძახით, იქა ჩამაძადა თავის ლაშქარმა და **ხობ**, ე, ქართველებიც ხო იყნეს ციხეში (ბერიძე, ბაკურაძე, 2020: 670).

- **ხოლასა** არაბულის გზით შემოსული სიტყვაა (Dehxoda, 1998, 3: 9903). **ხოლასე** – 1. რეზიუმე, მოკლე შინაარსი. 2. დედააზრი, არსი. 3. ჯამში, ზოგადად, ერთი სიტყვით (ელერდაშვილი, 2012: 272).

მოდლიან, ჰარილა დაკლიანყედა და, **ხოლასა**, ერთ ფანჯ მანი ჰორცი გადადვიანყე ამ ყორიანთ ჰარასათი (ჩუღრუთი, 2016); მოდიოდენ ჩემ ნახუაზე და მე არც ერთს არ ვიცნობდი, არ ვიცნობდი და ერთ რაქთენს ხან მარიზი ვიყავ და, **ხოლასა**. ესე გონჯი ხათერი იყო, ჩემთი დავარდა... (ქდკ; დაშქესანა, 1998); ეგეთი გზასავით ყოფილა, რო გონია, რო გზღ რი. **ხოლასა**, ბიჭი და ყორი და დედაკაცი... (თოდუა, 1975: 58).

- **ბელახარა** არაბული სიტყვაა, ნიშნავს: „ბოლოს, ბოლოს და ბოლოს“ (თოდუა, 2016: 31).

მოდლიანყე და წყრან, **ბელახარა**, ემ ყორმა და ემ ბიჭმა გადლიანყე (მარტყოფი, 2015); ეს თავის შირბაჰა, ხუთი ცხორი იყვისყე, ხუთი თაჩა ხორბალი, მა ქბილი იყვისყე, **ბელახარა**, ყანდი იყვისყე, ჩაი იყვისყე, **ბელახარა**, ეს ხარჯო-ბარჯი ნამა გამართიანყე თა ქორწილამდი (ჩუღრუთი, 2016); შამადსაცა, მასალან, ჩონ, ქე ცოტა-მყოს, ხო, **ბელახარა**, მა ცოტა-მყოს, მა ბევრი, ძარყი არ აქ (ახია,

2019); წადლიანე, შაკრიანე ეს ყესმათი და ილიგრე რო ძთეჲ, რამქონმა წადლის და ბელახარა მეთოფემაჲ ესროლის და მოკლისყე (ჩუღრუთი, 2019).

- **ბე ესთელაჲ / ბესთელაჲ** ორი ნაწილისგან შედგება: **ბე** სპარსული წინდებულია, **ესთელაჲ** კი არაბული „სიტყვა, რომელსაც მეცნიერებასა და ხელოვნებაში, ძირითადი მნიშვნელობის გარდა, სხვა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს“ (Amid, 2010: 137). სპარსულ-ქართულ ლექსიკონში **ბესთელაჲ** ასეა განმარტებული: 1. როგორც იტყვიან, როგორც მიღებულია თქმა. 2. ეგრეთ წოდებული; ბრჭყალებში (ელერდაშვილი, 2012: 78).

ემას რო ესროლა, ემ შიქალსთინ ძეშანგი და მეეკლა, **ბე ესთელაჲ** ტყავი და თავი და კისერი ემის იყო, რო ესროლა... (ჩუღრუთი, 2019); გურჯი ექა ამ ზამანზე, ქე **ბე ესთელა** შაჰაბასე ქაბირის შუღლი შადგომილა, მეგ მეყდარი ბე ესარათ მოსულან ექა. **ბე ესთელა** ზენდეგის იქმენ ამ ზამანზე, ქე **ბე ესთელა** შოურავიჩი ყოფილან, გორჯესტანჩი ყოფილან თამამ... (ქდკ; დამქესანა, 1998); თამნთინ ბემრი ძიმე თავდებოდა, მისცენ. მისცენ და აზ ზამანი, ქე **ბესთელა** ემებმანლა წადლენ თამანთ ქმრების სახჩი (ქდკ. დამქესანა, 1998).

- **არზ მიშად / არზ მიშავად / არზ მიშოდ – არზ** არაბ. სიტყვაა: მოგახსენებთ, რომ. (Dehxoda, 1998: 15807). მას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1. ზეპირი მოხსენება, 2. თხოვნა, 3. დემონსტრაცია, 4. წარმოშობა (ელერდაშვილი, 2012: 467). ფერეიდნულში აღნიშნავს: „მოგახსენებთ“.

ახანძალსლა რო წოოლიანე კერძი, **არზ მიშად**, რო მაჯმაზე დააწყვიანე ერთ დიდ ბადიან ხავიწი, გააკეთიანე ჰალუა. ხავიწი. ნამად ერბო ერთ დიდ ბადია აველა დამეს ელა, ერთ დიდ ბადია ხავიწი გაკეთიანე, **არზ მიშევად** რო ერნაყრი ხილი, ნამად ხილი და ერ ნაყრი ყურზენი და ისეები რო ელა თავინთყენ თაჲმინ **მიშოდ**, ჰალა და ქონდაყე, ერთ წითელ მაჯმაზე ეს ავსიანე ხილითა და ნამად რამე-რუმეითა და **არზ მიშად** რო კაკალითა და ნუშითა და ესეები ადლიანე (მარტყოფი, 2015).

- **არზ ქონამ / არზი ძეჲნა –** მოგახსენებთ, რომ. **ქონამ** მიღებულია **ქარდან** ფუძიდან, რაც „კეთებას, ქმნას“ ნიშნავს (ელერდაშვილი, 2012: 537).

გააკეთიანე, მასალან, ხუთი ცხორი და ხუთი, **არზ ქონამ**, რო ყანდი და შირბაჰა და ესეებილა, რაქთენი ქბილი და ესეებილა ქორწილსათინ შააყენონ (ჩუღრუთი, 2016); იტყის: შენ დადექ ელექა და ბე შომა ქე **არზ ქონამ**, ელექლა იმუშავე ჩონთანო (თორელი, 2023); დედამთილი ქე მიდიოდის ჩირადით, სარკე ჰქონდის, ჩერაყ თური ჰქონდის, სინი ქონდის, **არზ ქონამ** ქე, თა იმაშინ ქე ახანძალი, ქე მაჰყვანდაყე ახანძალის ძმასა, ჯელზე შეეტაცნის, ერ სხოსაც შემშირით, მასალან (ახჩა, 2020); ქორწილსათი ყორი და ბიჭი ორ ემე გაგზავნიანე, **არზი ძეჲნა**, რო მოწევარი გაგზავნიანე, ყორები ცალკე, ბიჭები ცალკე (ჩუღრუთი, 2017).

- **ძარზ ქონ –** სპარსული გამოთქმაა, ნიშნავს: წარმოიდგინე...

მასალან, ხორბალი, **ძარზ ქონ**, ქე მოადიან, გალენიანე ჩუმფარა და ჯარეზბითა არ გოშიანე, ერთ ზარა გამწონდეს, თა ამოადისყე, დობარა ემე ქნიანე, დათხარიანე, ხობ, მასან, შააქნისყე, **ძარზ ქონ**, ფაიზობა, ფაიზობაც ხო მინაც ნამუშები ჩაყარიანე (ახჩა, 2020).

- **ძოლან / ძელან –** არაბული სიტყვაა, ორაზროვანი ნაცვალსახელია, უცნობი პიროვნება (Dehxoda 1998, 11: 17203). **ძოლან –** 1. უცნობი, 2. მავანი (ელერდაშვილი, 2012: 499).

როგორი ზირინგიაო ის **ძოლან** აქესი, ქენ გამარჯობა, **ხო**, ქენ რო იტყიტყე გამარჯობაო, ჩონ ვიტყიტყე ეს **ძოლან**... [ნარგის აბასი].(ქდკ; ჩუღრუთი, 2008); ყენმა მოადეს და დამჭიროსო და **ძოლანო**, აბადაო, მოკლავ მეო, არ გაგიშეფ, თა მთელი გახიდეო (ქდკ; ვაშლოვანი, 1998).

- **ალბათა. ალბათე –** რა თქმა უნდა, აუცილებლად (ელერდაშვილი, 2012: 52). არაბული წარმომავლობისაა.

ჰად, ამ რასულამ ერთ მაშვერათი ქნისყე ამ ჰაიდარ ყოლიასთან, დეეკითხისყე, ხოლასე, **ალბათა**, იმიშინ ემეც იყო, ჩონ ვიყნევით მუშტარი და ჰაჯი ადია (ჩუღრუთი, 2016); ბალე ჯარი დაკლიანე, სტირ-ნაღარაით, **ალბათა** ბაჲდ, მასალან, სიგარის დადება იყო, მიჰცენყე, ნამად ხარჯი

მიჭიანყე... წადიანყე თუ დადნახიანყე სადომის ღურბინით **ალბათა**, წადიანყე, შაკრიანყე ეს ყესმათი და ილიგრე რო ძთქი, რამქონმა წადლის და ბელახარა მეთოფემაც ესროლის და მოკლისყე, **ალბათა** თავუსტანჩი ერთ ზარა ძარყი ჰქონდა, მასალან, თას შაკრუას და ემებს (ჩუღრუთი, 2019); ექ მოვლენ ითამაშებენ ემ თამაშობას ერთ გზა აქ, **ალბათა**, დანი, როგო ფილაქანი (თოდუა, 1975: 76). იმაშინ, **ალბათა**, სუნივენი დეეხოვიან, სუნივენი დეეხოვიან და ადლებენ იმ ჯოხსა (იქვე: 34).

• **ბად / ბა'დ** – არაბულის გზით შემოსული სიტყვაა. ნიშნავს: 1. შემდეგ, მერე(თოდუა 2016: 38); მასალან, თავის საქმე რასა იქთ? [ალი ხოსრაჟი] – მასალან, ჩონთი რასმე აჩოვს. **ბად** რამე დარსის რამე(...[შაჰინ ხოსროვი] – არ შუღლობთ ბიჭები? [ალი ხოსრაჟი] – **ბად**, ახჩაზე ვშუღლოფთ. (ქდკ; დამქესანა, 2008); ემსიქე შირეფს ავაწყითყე, **ბად** და ქასებიცაღა დ'ეს დაასხიან, ეგრე მეეხუენ აანთით (ქდკ; დამქესანა, 1998).

ფილერის ფუნქციას ასრულებს აგრეთვე ბგერის (ხმოვნის) გრძლად გამოთქმა: „მე მინდაო რო ე, მარტყოფჩი გაისხნას სკოლაო. ჰო, ძალიან ეხლა და, ნება მისცაყე და **ეეე**, ბძანება რო აუცილებლად ერთი სკოლა გაკეთდეს მარტყოფში (ბერიძე, ბაკურაძე, 2020: 669).

ხშირად ერთი პირის მეტყველებაში დასტურდება **სხვადასხვა სახის ფილერები**:

ემასაღა ეგრე, რო მე გამიგია, აველან ელა **ემე** არა ჰქონია, რო იშუღლოს და იტყის, რო, **მასალან**, ესენი ნახვენ, რო მე ემათლა შამოვდგომივარყე და **ემე**, ნაჩარი შაქნებიან, ჩამოღლენო და მე, **ბელახარა**, ერთი ოზრხაჰობას იქმენ და ერთ **ემეს იქმენ** და მეცლა უბახშებაჟყეო (მარტყოფი, 2016).

ემ **ემე** რო მოდდა და **ემე** ის რო მე გამიგია და **ემე**, ეს ალიმერდანხანის **ემე** რო **ბე ესტელაჰ** ესენი სამ **ემენი** იყნის (იაზდონმაჰრი, 2016).

მე მინდოდა, არა, ერთ აზრ მინდოდა გამოკითხო, ქე არ მინდა შენ ღურბინდში **ემე** იყოს, მე მინდა გამოკითხო, აი, გაიარა რაგდენ ხან **ემესთანა**, რა **აქიან**, ან **ემე** შაქნილადა თაის **ემელა** არი საქართველოსი? (ქდკ; ახჩა, 2008).

მევორე დღეს სადომო. სადამოსა კიდემ პურს შავჭამთ და **ემას** ვიტყით: ეჭტარი, ეჭტარის დრო. ბუნგეფს რო დააკივლეფთ, იმაშინ ეჭტარის დრო მუა. ბუნქსა, **დანი**, ღმერთის დიდობას ვიბნებთ და ფეღამბარისა და ემამისა და **ემებისა** დიდობას ვიბნეფთ და **ემით** სახელს ჰად დააკივლეფთ, რო **დანი**, ეს ჩონა ურუჯი რო დუგუჭერია, ნამა ურუჯი იყოს და ღმერთმა იყაბულოს. ურუჯი, **დანი** პურს არ შავჭამთ – რუზე (ქდკ; ფერეიდანი, 1976).

დასკვნა. ამგვარად, ფერეიდნელ ქართველთა მეტყველებაში ფილერებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. დიალექტში აქტიურად გამოიყენება ქართული სიტყვაფორმები (როგორც საერთო, ისე დიალექტური მოდიფიკაციით). ამასთან, უცხოენოვან გარემოში ხანგრძლივი არსებობის შედეგად დიალექტში გაჩნდა და თანდათან მკვიდრდება ნასესხები (სპარსული, თურქული, არაბული წარმომავლობის) სიტყვა-ფილერები, რაც, ბუნებრივია, შესაბამისი ქართული მასალის შეზღუდვა-შევიწროების ხარჯზე ხდება. განხილული მასალა ნათლად ასახავს ფერეიდანში ქართულ-სპარსული ენობრივი ინტერფერენციის შედეგად ამჟამად არსებულ ენობრივ ვითარებას და წარმოაჩენს ცვლილებების ზოგად ტენდენციებს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

აბაშვილი, ვ. (2009). ქართული ენის ინგილოური დიალექტი. თბილისი. გამომც. „მერიდიანი“.

ბერიძე, მ., ბაკურაძე, მ. (2020). ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი. თბილისი. გამომც. „მერიდიანი“.

დადიანი, ე. (2013). ემე ნაცვალსახელი იმერხეულსა და ტაოურში. XXXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი. თსუ-ს გამომცემლობა. გვ. 18-20.

- დადიანი, ე. (2015). III პირის (ჩვენებით) ნაცვალსახელთა წარმოების თავისებურებები ტაოურში. ილია ჭავჭავაძის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ჟურნალი „წელიწდული“, ტ. VII. ქუთაისი. გამომც. „ქუთაისი“. გვ. 107-114.
- დადიანი, ე. (2020). ნაცვალსახელი-ფილერები ქვემოიმერულში (ოკრიბული მეტყველების მიხედვით). XL რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის მასალები. თბილისი. თსუ-ს გამომცემლობა. გვ. 54-61.
- დადიანი, ე. (2023). *ემე* ნაცვალსახელი ფერეიდნულში (ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი). შავიზღვის-პირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე. II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ბათუმი, 2023 (2), გვ. 121-133. <https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/article/view/7861/7819>
- ელერდაშვილი, ა. (2012). სპარსულ-ქართული ლექსიკონი. თბილისი. გამომც. „უნივერსალი“.
- თოდუა, მ. (1975). ქართულ-სპარსული ეტიუდები. II. ფერეიდნული ტექსტები (გვ. 29-111). თბილისი. გამომც. „მეცნიერება“,
- თოდუა, ხ. (2016). სპარსულ-ქართული ლექსიკონი. თბილისი. გამომც. „ინტელექტი“.
- თურქია, თ. (2006). ტექსტობრივი პაუზის შევსების საშუალებანი. ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. X. ქუთაისი. „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- თურქულ-ქართული ლექსიკონი (2001). თურქულ-ქართული ლექსიკონი. ლ. ჩლაიძის რედაქციით. სტამბოლი.
- მარტიროსოვი, ა. (1964). ნაცვალსახელი ქართველურ ენებში. თბილისი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ორბელიანი, ს.-ს. (1991). ლექსიკონი ქართული. ტომი I. თბილისი. გამომც. „მერანი“.
- ფაღავა, მ., ცინცაძე, მ., მაკარიძე, ე., დიასამიძე რ., თანდილაშვილი ლ. (2005). ტაოური მეტყველების ნიმუშები. ბათუმის უნივერსიტეტის კრებული, IV. ბათუმი. “ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- ფუტყარაძე, შ. (1993). ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი. ბათუმი. აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა.
- ქართული დიალექტური კორპუსი (ქდკ). <http://corpora.co/#/corpus>. 22.07.2023.
- ღლონტი, ა. (1984). ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. თბილისი. გამომც. „განათლება“.
- ჩხუბიანიშვილი, დ. (2012). საენათმეცნიერო წერილები. თბილისი. თსუ გამომცემლობა.
- ფერეიდნული მასალა (2016-2023). ფერეიდანში სტატიის ავტორთა მიერ დიალექტოლოგიური ექსპედიციის პერიოდში და ინდივიდუალურად ჩაწერილი დიალექტური მასალა (დაცულია აწსუ-ს პროფ. ტარიელ ფუტყარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრში და პირად არქივში).
- Amid, Hasan. (1389) 2010: Farhang-e Amid, Tehran: pres. Reh-roshd.
- Dehxoda, Ali akbar. (1998). Loqat name (Dictionary). vol. 3. Tehran: pres. University of Tehran.
- Dehxoda, Ali akbar. (1998). Loqat name (Dictionary). vol. 6. Tehran: pres. University of Tehran.
- Dehxoda, Ali akbar. (1998). Loqat name (Dictionary). vol. 11. Tehran: pres. University of Tehran.